

გამოყენების ინსტრუქცია ტანტუმ® ვერდე

სავაჭრო დასახელება: ტანტუმ® ვერდე
საერთაშორისო არადაპატენტებული დასახელება - ბენზიდამინი

ფარმაცევტული ფორმა: სავლები ხსნარი 0.15%.

შემადგენლობა სავლები ხსნარის 100 მლ-ზე:

აქტიური ინგრედიენტი: ბენზიდამინის ჰიდროქლორიდი - 0.15 გ (რაც შეესაბამება 0.18გ-ს ერთ ფლაკონში 120მლ)

დამხმარე ინგრედიენტები: ეთილის სპირტი 96%, გლიცერინი (გლიცეროლი), მეთილპარაჰიდროქსიბენზოატი, მენტოლის არომატი, საქარინი, ნატრიუმის ჰიდროკარბონატი, პოლისორბატი 20, ქინოლინის ყვითელი საღებავი 70% (E 104), დაპატენტებული ცისფერი საღებავი 85% (E-131), გაწმენდილი წყალი.

აღწერილობა:

სავლები ხსნარის 0.15%: გამჭვირვალე მწვანე ფერის სითხე პიტნის დამახასიათებელი არომატით

ფარმაკოლოგიური ჯგუფი:

პირის ღრუს დაავადებების სამკურნალო პრეპარატები

ATC Code: A01AD02

ფარმაკოლოგიური მოქმედება

ბენზიდამინი წარმოადგენს ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდულ სამკურნალო საშუალებას. მიეკუთვნება ინდოლოლებს ჯგუფს. გააჩნია ანთების საწინააღმდეგო და ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. აქვს ანტისეპტიკური მოქმედება მიკროორგანიზმების ფართო სპექტრის მიმართ.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია უჯრედოვანი მემბრანების სტაბილიზაციასთან და პროსტოგლანდინების სინთეზის ინჰიბირებასთან.

ბენზიდამინი ახდენს ანტიბაქტერიულ და სპეციფიურ ანტიმიკრობულ ზემოქმედებას მიკროორგანიზმების მემბრანაში სწრაფად შეღწევის ხარჯზე რის შედეგადაც ზიანდება უჯრედოვანი სტრუქტურა, ირღვევა მეტაბოლური პროცესები და უჯრედის ლიზისი.

აქვს სოკოსაწინააღმდეგო მოქმედება Candida Albicans-თან მიმართებაში. იწვევს უჯრედის კედლისა და მიცეტების მეტაბოლური ჯაჭვის სტრუქტურულ მოდიფიკაციას და ამგვარად ხელს უშლის მათ რეპროდუქციას, რაც გახდა ბენზიდამინის გამოყენების საფუძველი პირის ღრუს ანთებითი პროცესებისას, მათ შორის ინფექციური ეტიოლოგიის პროცესებისაც.

ფარმაკოკინეტიკა:

ადგილობრივი გამოყენებისას პრეპარატი კარგად აბსორბირდება ლორწოვანი გარსით და აღწევს ანთებულ ქსოვილებში, აღწევს რა ეფექტიან კონცენტრაციას ეპითელიალური შრის ზედაპირში შეღწევის უნარის წყალობით.

პრეპარატის ექსკრეცია ხდება ძირითადად თირკმელებითა და კუჭნაწლავით მეტაბოლიტებისა და კონიუგაციის პროდუქტების სახით.

ადგილობრივი გამოყენების სამკურნალო ფორმები არ ახდენენ სისტემურ მოქმედებას.

გამოყენების ჩვენებები

გალიზიანებისა და ანთებითი პროცესების სიმპტომატური მკურნალობა, მათ შორის პირის ღრუსა და ყელის ტკივილის სინდრომით (მაგალითად ფარინგიტი, გინგივიტი, სტომატიტი), ასევე კონსერვატიული მკურნალობის ან კბილის ამოღების შემდგომ.

უკუჩვენებები:

- პრეპარატის რომელიმე კომპონენტის მიმართ მომატებული მგრძობელობა
- ბავშვთა ასაკი 12 წლამდე

ორსულობა და ლაქტაცია

ნებისმიერი სამკურნალო პრეპარატის მიღებამდე გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან ან ფარმაცევტთან.

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია პრეპარატი **ტანტუმ ვერდეს** გამოყენება მხოლოდ ექიმის დანიშნულებისამებრ, მას შემდეგ რაც მოხდება რისკებისა და სარგებელის ინდივიდუალური შეფასების შეთანხმება.

გამოყენების მეთოდი და დოზირება:

მოზრდილები, ხანდაზმული ასაკის პაციენტები და ბავშვები 12 წლიდან იყენებენ ყელის ან პირის ღრუს სავლები ხსნარის 15 მლ-ს (საზომი ჭურჭელი თან ახლავს) 2-3-ჯერ დღეში. პრეპარატის დანიშვნა 12 წლამდე ბავშვებისათვის შესაძლებელია, თუ მათ იციან როგორ გამოივლონ სავლები ყელში.

- გაუზავებელი ხსნარი გამოიყენება ანთებითი პროცესების დროს სავლებისათვის.
- განზავებული ხსნარი (პრეპარატის 15 მლ და 15 მლ წყალი შეურიეთ საზომ ჭურჭელში) გამოიყენება ყელისა და პირის ღრუს ყოველდღიური ჰიგიენური სავლების სახით.

მკურნალობის კურსი:

-პირის ღრუს და ლორ ორგანოების (სხვადასხვა ეტიოლოგიის) ანთებითი დაავადებების დროს: 4-დან 15 დღემდე

-ოდონტო-სტომატოლოგიური პათოლოგიები: 6-დან 25 დღემდე

-ოპერაციული ჩარევებისა და ტრავმების შემდეგ (ტონზილექტომის, ყბის მოტეხილობა): 4-დან 7 დღე

პრეპარატის ხანგრძლივად გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია

გვერდითი მოვლენები

ადგილობრივი რეაქციები: პირის სიმშრალე, დაბუყების, წვის შეგრძნება პირის ღრუში.

ალერგიული რეაქციები: კანზე გამონაყარი.

ძალიან იშვიათად: ლარინგოსპაზმი;

არცთუ ხშირად: ფოტომგრძობელობა

ძალიან იშვიათად: ანგიონევროზული შეშუპება

დოზის გადაჭარბება

ძალიან იშვიათად გამოვლინდა დოზის გადაჭარბების ისეთი სიმპტომები როგორცაა აღგზნებადობა, კონფუსიები, ოფლის გამოყოფა, ატაქსია, ტრემორი და ღებინება ბავშვებში პერორალურად ბენზიდამინის რეკომენდებულ დოზაზე დაახლოებით 300 -ჯერ მეტი დოზით მიღებისას.

დოზის მწვავე გადაჭარბებისას შესაძლებელია მხოლოდ სიმპტომატური მკურნალობა; რეკომენდებულია კუჭის გასუფთავება ღებინების გამოწვევის გზით ან გამორეცხვის გზით, ამასთან პაციენტი უნდა იმყოფებოდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ შემანარჩუნებელ თერაპიაზე და უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო ჰიდრატაცია.

სხვა სამკურნალო პრეპარატებთან ურთიერთმოქმედება

არ არის გამოვლენილი პრეპარატ ტანტუმ® ვერდეს კლინიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთმოქმედება სხვა პრეპარატებთან.

განსაკუთრებული მითითებები

თუ ხსნარის მიღებისას აღინიშნება წვის შეგრძნება, საჭიროა წინასწარ მისი წყლით ორჯერადად გაზავება და გრადუირებული ჭიქის ჭრილამდე მიყვანა.

ამ პრეპარატის გამოყენებამ, განსაკუთრებისთ ხანგრძლივი მკურნალობისას, შესაძლოა გამოიწვიოს მგრძობელობის რეაქციები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მკურნალობის შეწყვეტა და ექიმთან კონსულტაციის გავლა მისაღები თერაპიის დასადგენად.

შეზღუდული რაოდენობის პაციენტებში ყელისა და პირის ღრუს წყლულის ფორმის განვითარება შესაძლოა უფრო სერიოზული პათოლოგიების ნიშანი იყოს. თუკი სიმპტომები ნარჩუნდება 3 დღეზე მეტ ხანს, პაციენტმა კონსულტაცია უნდა გაიაროს ექიმთან ან სტომატოლოგთან კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ბენზიდამინის გამოყენება არ არის რეკომენდებული სალიცილის მუავასა და სხვა ანთებისსაწინააღმდეგო არასტეროიდული სამკურნალო საშუალებების (აასს) მიმართ მომატებული მგრძობელობის შემთხვევაში

სიფრთხილით ენიშნება პრეპარატი პაციენტებს ბრონქიალური ასთმის ანამნეზით, რადგან ამ ჯგუფის პაციენტებში შესაძლოა გამოვლინდეს ბრონქოსპაზმი.

პრეპარატი ტანტუმ ვერდე შეიცავს მეთილპარაჰიდროქსიბენზოატს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები (მათ შორის შენელებული ტიპის).

სპორტით დაკავებული პაციენტებისათვის: ეთილის სპირტის შემცველი სამკურნალო საშუალებების გამოყენებამ შესაძლოა დადებითი შედეგი აჩვენოს დოპინგის ტესტის შემთხვევაში სისხლში ალკოჰოლის შემცველობაზე ზოგიერთი სპორტის ფედერაციის მიერ განსაზღვრული ზღვარის შესაბამისად.

ავტოტრანსპორტისა და სხვა მექანიზმების მართვის უნარზე გავლენა:

პრეპარატი არ ახდენს გავლენას ავტოტრანსპორტის მართვისა უნარსა და სხვა სახის მოქმედებებზე, რომლებსაც ყურადღების კონცენტრირება სჭირდებათ.

გამოშვების ფორმა

- ხსნარის 120 მლ გამჭვირვალე შუშის ფლაკონში, პოლიეთილენის ხრახნიანი ხუფით, და გახსნისაგან დამცავი პოლიეთილენის რგოლით
ფლაკონს თან ახლავს პოლიპროპილენის ჭიქა 15 და 30 მლ გრადუირებით.

ფლაკონი და გრადუირებული საზომი ჭიქა ინსტრუქციასთან ერთად მოთავსებულია მუყაოს კოლოფში.

ვარგისობის ვადა

4 წელი;

არ გამოიყენოთ ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ.

შენახვის პირობები

არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

შენახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

გაცემის წესი: ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებელი: “Aziende Chimiche Riunite Angelini Francesco – A.C.R.A.F. S.p.A.”

მისამართი: Viale Amelia, 70, 00181, Rome (RM), Italy